

ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია მუზეუმების ექსპონატებში: სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუზეუმებიდან ანალიზი

აბსტრაქტი

საკვლევი თემა: კვლევა ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუზეუმების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც 2025 წელს სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმში, იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმსა და ილო მოსეშვილის სახლ-მუზეუმში შევისწავლე ეროვნული იდენტობის ასახვა საქართველოს ოკუპაციის (1921) და დამოუკიდებლობის მოპოვების პოლიტიკური მოვლენების რეპრეზენტაციის საფუძველზე. კონცეპტუალურ ჩარჩოდ შეირჩა იან ასმანის თეორია კულტურული მეხსიერების შესახებ. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ვიზუალურ და სივრცით ანალიზს და ეყრდნობა, როგორც ექსპონატების ვიზუალური გამოსახულებების შესწავლას, ისე სივრცითი თემატური განყოფილებების ანალიზს.

შესავალი: თვითონ მუზეუმების ისტორია გაცილებით ძველია, ვიდრე მათი შემსწავლელი მეცნიერება-მუზეოლოგია, რომელიც შედარებით ახალი დარგია (XX საუკუნის 80-90-იანები წლები) და არაერთი ქვეყნის უნივერსიტეტში ცალკე კურსად ისწავლება. მუზეოლოგია სხვა ასპექტებთან ერთად, შეისწავლის მუზეუმების როლსაც თანამედროვე საზოგადოებაში (კოშორიძე, 2009). დღეს საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება მუზეუმების და იქ დაცული ექსპონატების კვლევა, რაზეც ბოლო წლებში ამ საკითხზე გაზრდილი სამეცნიერო კვლევითი პროექტების რაოდენობა მე-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

ტყველებს. მიუხედავად ამისა, კვლევების უმეტესობა ხელოვნებათმცოდნეობისა და კულტურის კვლევების სფეროს ეკუთვნის.

მიმდინარე კვლევა მუზეუმებში წარმოდგენილ პოლიტიკურად მნიშვნელოვან მოვლენებს განიხილავს, რომელთაც საქართველოს ისტორიაში საკვანძო ადგილი უკავიათ. ამის საფუძველზე განვსაზღვრეთ, თუ როგორ არის წარმოდგენილი ეროვნული იდენტობა სამუზეუმო ექსპონატებში.

ეროვნული იდენტობის მთავარ ფუნქციად მკვლევრები მიიჩნევენ ამ იდენტობის მატარებელი სუბიექტების ჰომოგენიზაციასა და გაერთიანებას ეროვნული ფასეულობების ირგვლივ, რაც ნაციის შიგნით კონფლიქტების მეორე პლანზე გადატანას უწყობს ხელს. ეროვნული იდენტობა სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც კოლექტიური იდენტობის ნიმუშია და რომელშიც ინდივიდი საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს ერთობასთან. ეს არის ემოციური კავშირი კონკრეტულ ერთან (ბოგიშვილი&ოსეფაშვილი&გავაშვილი&შვილი&გუგუშვილი, 2016).

საყურადღებო დეფინიციას გვთავაზობს ენტონი სმითი, რომლის მიხედვითაც ეროვნული იდენტობა დროში განგრძობადია და მოიცავს მითების, სიმბოლოების, მეხსიერების, ღირებულებების, ტრადიციების და ფასეულობების თაობათა მიერ რეინტერპრეტაციას, რათა ყოველმა ახალმა თაობამ შეძლოს ამ მემკვიდრეობის გათავისება და მიღება (Smith, 2010). თუ ამ განმარტებას მივიღებთ კვლევის ამოსავალ კონცეფციად, მივალთ დასკვნამდე, რომ მუზეუმები, რომლებიც გარკვეული ასპექტით ინახავენ ერის ისტორიას და კულტურას, კარგი საშუალებაა ყოველი ახალი თაობისთვის, რათა ჰქონდეთ ახლო და პირდაპირი კავშირი საკუთარ წინაპრებთან, წარსულთან და კულტურის ისტორიასთან.

საკითხის აქტუალობა: კვლევა აქტუალურია, რადგან შეისწავლის მუზეუმებში პოლიტიკური მეხსიერების სივრცეებს. კვლევის ფარგლებში შევისწავლე სიღნაღის მუნიციპალიტეტის ოთხი

პოლიტიკური მეცნიერება 2025 ტომი 2, N 2

მუზეუმი: სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი, იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი და ილო მოსეშვილის სახლ-მუზეუმი. სიღნაღის მუნიციპალიტეტს თავისებურებაა ის, რომ აქ წარმოდგენილია კონკრეტული მოღვაწეების სახლ-მუზეუმები. შესაბამისად, ამ მუზეუმების ფოკუსი მთლიანად კონკრეტული პიროვნებების ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზეა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი მიზნობრივად შეირჩა მისი რეგიონალური მნიშვნელობის გამო. ის კახეთის კულტურულ-ისტორიული ცენტრია, რომელიც, როგორც ტურისტული ქალაქი, ადგილობრივთან ერთად, საერთაშორისო მნიშვნელობასაც ატარებს. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუზეუმები წარმოაჩენენ ქართულ მემკვიდრეობას იმ სახით, როგორი კუთხითაც გვინდა ტურისტებმა, რომ გაიცნონ ქართული კულტურა და ისტორია.

კვლევის მიზანია სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუზეუმების ექსპონატების ანალიზზე დაყრდნობით, ეროვნული იდენტობის განმტკიცებისა და გაძლიერების ხელშემწყობი ნარატივების გამოვლენა და შესწავლა. უფრო კონკრეტულად, კვლევა ეხება ისეთ ისტორიულ და პოლიტიკურად მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს, როგორცაა საქართველოს ოკუპაცია (1921) და დამოუკიდებლობის მოპოვება, და მათდამი მიძღვნილი ექსპოზიციების ანალიზს.

კვლევის ამოცანებია: 1) მუზეუმებში გამოხატული ეროვნული იდენტობის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;

2) სიღნაღის მუნიციპალიტეტის შესწავლილი მუზეუმების კონცეფციისა და ძირითადი მახასიათებლების გამოყოფა;

3) ექსპოზიციებში გამოხატული ეროვნული იდენტობის შესაძლო ასპექტების გამოვლენა;

საკვლევი **საგანია** საქართველოს ოკუპაციისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისადმი მიძღვნილი ექსპონატების ანალიზი და იმის შესწავლა, თუ რა ნარატივები იქმნება ამ ექსპონატების მეშვეობით.

საკვლევი **ჰიპოთეზის** ფორმულირებაა: სიღნაღის მუნიციპალიტეტის მუზეუმებში ეროვნული იდენტობის ნარატივები კონსტრუირებულია კულტურული ექსპონატებისა და ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით. ამასთან, გადამწყვეტი პოლიტიკური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები ნაკლებად არის წარმოდგენილი. შედეგად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობა ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის რეინტერპრეტაციას, თუმცა ეს პროცესი პოლიტიკური შინაარსისგან დაცლილია.

კვლევის **კონცეპტუალური ჩარჩოს** წარმოადგენს იან ასმანის თეორია კოლექციური მეხსიერების შესახებ. ასმანი გამოყოფს კოლექციური მეხსიერების ორ ტიპს: კომუნიკაციურსა და კულტურულს. ამ კვლევის ფოკუსი სწორედ კულტურული მეხსიერებაა, რადგან კომუნიკაციური მეხსიერება, როგორც წესი, მოიცავს ერთი თაობის გამოცდილებას, რომელიც ამ თაობის შემდეგ აღარ არსებობს. უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა ან მოგონება ერთი თაობის მიერ შეიძლება არ გაქრეს, არამედ გადაინაცვლოს კულტურულ მეხსიერებაში. კომუნიკაციური მეხსიერება არ საჭიროებს ფორმალურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს. ზეპირი ისტორიების კვლევა სწორედ ამ ტიპის მეხსიერების სფეროს განეკუთვნება (მინდაძე, 2005).

ასმანის მიხედვით, კულტურულ მეხსიერებას მუდმივი განმტკიცება სჭირდება. კომუნიკაციური მეხსიერებისგან განსხვავებით, კულტურული მეხსიერება არ არის დაკავშირებული ყოველდღიურობასთან, პირიქით, ის მეტად დისტანცირებულია ყოველდღიური გამოცდილებისგან. იან ასმანის მიხედვით, კულტურული მეხ-

სიერება ინსტიტუციალიზებულია. ასმანის თეორია კულტურული მეხსიერების შესახებ სამ ასპექტს აერთიანებს: მეხსიერებას (წარსულის აღქმა თანამედროვე კონტექსტში), კულტურას და ჯგუფს (საზოგადოებას). სამივე ასპექტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და თითოეულს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ჯგუფის კონტექსტში, იდენტობის „კონკრეტიზაცია“ ეწოდება კულტურული მეხსიერების მიერ იმ ცოდნის შემონახვას, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ერთიანობის შეგრძნებას ავითარებს. კულტურული მეხსიერების იდენტიფიკაცია შესაძლებელია როგორც პოზიტიური („ეს ვართ ჩვენ“), ასევე ნეგატიური („ეს ჩვენი საპირისპიროა“) კუთხით. ასეთ ჩამოყალიბებას ნიციშე „ჰორიზონტების კონსტიტუციას“ უწოდებს, რაც გულისხმობს მკვეთრ გამიჯვნას იმათ შორის, ვინც ეკუთვნის და არ ეკუთვნის ჯგუფს.

იდენტობის პოლიტიკაში „ჩვენ“ და „სხვა“ დონეებზე, როდესაც ვსაუბრობთ და ინტერკულტურულ კომუნიკაციის აუცილებლობაზე, სწორედ იგივე პრობლემასთან მივდივართ. კულტურული მეხსიერების ორი რეჟიმი არსებობს: 1) არქივის პოტენციალი, რომელშიც ტექსტები, გამოსახულებები და ქცევის ნორმები ინახება ერთიან ჰორიზონტად; 2) აქტუალობის რეჟიმი, როდესაც თანამედროვე კონტექსტი ანიჭებს ობიექტივიზებულ მნიშვნელობას თავის პერსპექტივას და აქტუალობას (Assmann&Czaplicka, 1995).

კულტურული მეხსიერების ადრეულ ფორმებად რიტუალები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ დღეს კულტურული მეხსიერების ექსპერტებად მეცნიერები და ხელოვანებიც ითვლებიან. დამწერლობის შექმნის შემდეგ ინტერპრეტაციები ტექსტებზე დაფუძნებით ხდება და არა მხოლოდ რიტუალებზე. კულტურული მეხსიერების განმტკიცება კულტურული მეხსიერების ცირკულაციით ხდება, რაც განამტკიცებს ჯგუფის იდენტობას. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი კულტურული მეხსიერების ცირკულაციისათვის საჭირო ადგილების შექმნა.

მუზეუმი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ცირკულაციისათვის არის აუცილებელი. კულტურული მემკვიდრეობის ორ რეჟიმზე საუბრისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეორე რეჟიმს: „აქტუალობის რეჟიმში, რომელშიც თანამედროვე კონტექსტი ანიჭებს ობიექტივიზებულ მნიშვნელობას თავის პერსპექტივას და აქტუალობას“. ეს გულისხმობს სელექციურ პროცესს, რომელიც მუზეუმის შემთხვევაში შერჩეულ კოლექციებსა და ექსპონატებში ვლინდება. მუზეუმი აქტუალურს ხდის კონკრეტულ მემკვიდრეობას და ანიჭებს მას მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ, მთავარი საკითხი არის ის, თუ როგორ ირჩევა მუდმივმოქმედ დარბაზებში გამოტანილი კოლექციები და რა რჩება საცავში. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, სელექციური პროცესი შემოიფარგლა წმინდა კულტურული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენით, მაგრამ სივრცე კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკური თარიღების და მოვლენების მეშვეობით გადააზრებისა ცარიელი დარჩა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისთვის შერჩეული ერთ-ერთი მეთოდია ვიზუალური ანალიზი, როდესაც წარმოდგენილ ექსპონატებში სიმბოლოების, ვიზუალური ნიშნების და ექსპონატების განლაგების შესწავლა ხდება. ამ მეთოდთან ერთად, კვლევაში ვხვდებით სივრცითი ანალიზის მეთოდს, დარბაზებში იმის შესწავლას თუ რა ადგილს იკავებს კონკრეტული თემატიკა, რაზე არის ძირითადი ფოკუსი გადატანილი და რა რჩება ყურადღების მიღმა.

შემდეგი მეთოდი, რომელსაც ვიყენებთ კვლევაში არის კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რაც გამოვიყენე ტექსტური განმარტებების, ნაწერების და კატალოგების შესწავლისას. რის შედეგადაც დადგინდა, რომ სახლ-მუზეუმების კვლევისას ეროვნული საკითხი, უფრო კონკრეტულად სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი, პოეზიის მეშვეობით იყო გადმოცემული.

კვლევის მიგნებები: კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის შესწავლილი მუზეუმები დაცლილია პოლიტიკური ასპექტისგან, გამოფენილ კოლექციებში არ ვხვდებით საქართველოს ოკუპაციასთან, თუ დამოუკიდებლობის თარიღთან დაკავშირებულ ექსპონატებს. პოლიტიკური მეხსიერების სივრცეები, მისი საჭიროების მიუხედავად, გადაფარულია კულტურული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ფერწერული ექსპონატებით. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სპეციალურად კონკრეტული თარიღებისადმი მიძღვნილ პერიოდულ გამოფენებში წარმოდგენილი იყოს ოკუპაციის და დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილი ექსპოზიციები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ეროვნული იდენტობა, მუზეუმები.

ბიბლიოგრაფია

• Assmann, J.&Czaplicka, J. (1995). Collective Memory and Cultural Identity. *New German Critique*, 65, 125-133.

• Smith, A. D. (2010). *Nationalism; Theory, Ideology, History* (Second Edition ed.). Polity Press.

• ბოგიშვილი&ოსევაშვილი&გავაშელიშვილი&გუგუშვილი. (2016). *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია*. თბილისი: "ნეკერი".

• კოშორიძე, ი. (2009). *მუზეუმცოდნეობის შესავალი; ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

• მინდაძე, ი. (2005). *ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მეხსიერების ხატები*. საარი. მოპოვებულია <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/543339/1/JgufisTvitmyofadobaDaKulturuliMexsierebisXatebi.pdf> - დან.

Nino Maisuradze

Representation of National Identity in Museum Exhibits: An Analysis of the Museums of Signaghi Municipality

Abstract

Research topic: the research concerns the analysis of museums in the Signaghi municipality. Within its scope, in 2025, I studied the representation of national identity in the Signaghi Historical-Ethnographic Museum, Fore Mosulishvili House-Museum, Irodion Evdoshvili House-Museum, and Ilo Moseshvili House-Museum, based on the representation of the political events of Georgia's occupation (1921) and the restoration of independence. As a conceptual framework, Jan Assmann's theory of cultural memory was chosen. The research methodology includes visual and spatial analysis and relies both on the study of the visual representations of the exhibits and the analysis of the spatial thematic sections.

Relevance of the topic: this research is relevant as it explores the spaces of political memory within museums. Within the scope of the study, I examined four museums in the Signaghi municipality: the Signaghi Historical-Ethnographic Museum, Fore Mosulishvili House-Museum, Irodion Evdoshvili House-Museum, and Ilo Moseshvili House-Museum. A distinctive feature of the Signaghi municipality is the presence of house-museums dedicated to specific prominent individuals. Accordingly, the focus of these museums is entirely on the biographies and creative legacies of these particular figures.

Signaghi municipality was purposefully selected due to its regional significance. It is a cultural and historical center of Kakheti, which, as a tourist city, holds both local and international importance. The museums of Signaghi municipality present Georgian heritage in a way that reflects the perspective through which we wish tourists to become acquainted with Georgian culture and history.

The **aim** of the research is to identify and examine the narratives that contribute to the consolidation and strengthening of national identity, based on the analysis of the exhibits in the museums of Signaghi municipality. More specifically, the study focuses on historically and politically significant dates and events, such as the occupation of Georgia (1921) and the restoration of independence, and analyzes the exhibitions dedicated to these events.

The objectives of the research are:

- 1) To review the existing scholarly literature on national identity as expressed in museums;
- 2) To identify the concepts and main characteristics of the studied museums in Signaghi municipality;
- 3) To reveal the possible aspects of national identity represented in the exhibitions.

The **subject** of the research is the analysis of exhibits dedicated to the occupation of Georgia and the restoration of independence, as well as the study of the narratives constructed through these exhibits.

The research **hypothesis** is as follows: in the museums of Signaghi municipality, narratives of national identity are constructed through cultural exhibits and works of art. However, historical events of decisive political significance are less represented. As a result, a tendency emerges whereby the presented cultural heritage contributes to the reinterpretation of national identity, although this process is largely devoid of political content.

The **conceptual framework** of the research is based on Jan Assmann's theory of collective memory. Assmann distinguishes between two types of collective memory: communicative and cultural. The focus of this study is specifically on cultural memory, as communicative memory typically encompasses the experiences of a single generation, which cease to exist after that generation (Mindadze, 2005).

According to Jan Assmann, cultural memory is institutionalized. His theory of cultural memory encompasses three interrelated aspects: memory (the perception of the past within a contemporary context), culture, and the group (society). All three aspects are interconnected, and each is accorded particular attention.

In the context of the group, the “concretization” of identity refers to the preservation of knowledge by cultural memory, on the basis of which the group develops a sense of unity. The identification within cultural memory may take place in either a positive form (“this is who we are”) or a negative one (“this is our opposite”). Such a formation is what Nietzsche terms the “constitution of horizons,” which implies a sharp distinction between those who belong to the group and those who do not.

Cultural memory is reinforced through its continual circulation, a process that simultaneously strengthens collective identity. This makes the establishment of spaces dedicated to the circulation of cultural memory indispensable. Museums, in particular, may be understood as key institutions that facilitate this process. By activating specific memories and investing them with meaning, museums render the past significant in the present. Accordingly, the central issue lies in determining which collections are chosen for permanent display and which remain confined to storage. In the case of Sighnaghi Municipality, the selective process has largely been restricted to exhibitions of cultural, ethnographic, archaeological, and art materials, leaving the space devoid of reinterpretations of political dates and events that are crucial to cultural memory.

Research methodology: one of the methods employed in the study is visual analysis, which involves examining the symbols, visual signs, and spatial arrangement of the exhibited objects. Alongside this, the research also applies spatial analysis, focusing on the placement of specific themes within the exhibition halls, identifying where the primary focus lies, and

what remains marginalized or overlooked. Another method used is content analysis, applied to the study of textual explanations, writings, and catalogues. The findings revealed that in the case of house-museums, national themes-more specifically, love of the homeland and patriotism-were predominantly conveyed through poetry.

Research findings: the results of the study revealed that the museums examined in Signaghi Municipality are largely devoid of a political dimension; the exhibited collections contain no artifacts related to either the occupation of Georgia or the date of independence. Spaces of political memory-despite their necessity-are overshadowed by cultural, ethnographic, archaeological, and artistic exhibits. This, however, does not exclude the possibility that periodic exhibitions dedicated to specific dates may present displays addressing the themes of occupation and independence.

Keywords: Georgia, national identity, museums.